ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული აზრი

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 87 ნიუ იორკი, მაისი 1971 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, MAY 1971

ნიუ იორკი, მაისი. 1971 წ.

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის,
აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დაგვიზამთრა
სამუდამოთ მაისი.“

კ. მაყაშვილი

ჩვენ შევიყარენით, რათა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივი ისტორია 1918 წლიდან დაიწყო.

ჩვენ გვაქვს სამი ათას წელზე მეტი პრწყინვალე წარსული, რომლითაც შეიძლება იამაყოს, არა მარტო ქართველმა, არამედ იამაყებდა ყოველი მრავალ რიცხოვანი და დაწინაურებული ერის შვილი. მაგრამ 16-ტე საუკუნიდან მოყოლებული, როცა ოსმალეთმა დაგვიხშო ევროპის, და კერძოდ, ბიზანტიის კარები, საქართველო მოექცა რელიგიური ფანატიზმით განმსჭვალულ მუსულმანურ ალყაში, რომელთა მიზანი იყო აღმოეფხვრა ქრისტიანობა, და მაშასადამე, ქართველი ერი აღეგავა დედამიწის ზურგიდან.

საქართველოს ამ ძნელბედობით პერიოდს დაემთხვა რუსეთის საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა. ევროპიდან მოწყვეტილს და მუსულმანურ რკალში მომწყვდეულ ჩვენ სამშობლოს ბუნებრივ გამოსავლად მიაჩნდა ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირება, მით უმეტეს, რაც გამოირკვა რუსეთის კავკასიისაკენ ლტოლვა და ივანე მრისხანემ თერგის ნაპირზე 1567 წ. ააშენა ქ. თერგი (ტერეკი), თითქოს სავაჭრო მიზნით, ხოლო შემდეგ ის გადააქცია უძლიერეს სამხედრო ციხე ქალაქად.

ამ დროს არავინ იცნობდა რუსეთს, მის ბუნებას და შეუძლებელი იყო გათვალისწინება , რომ მონგოლური დამპყრობლობითი პოლიტიკის მემკვიდრისაგან სიკეთე არავის დაადგებოდა. ამ საკითხის ნათელ საყოფად საჭიროა თვალი გადავავლოთ რუსეთის კოლონიალურ განვითარებას.

15-ტე საუკუნეში ივანე 3-ემ დაიპყრო ნოვგოროდი. ქალაქის მთელი მოსახლეობა აყარა, გარეკა და მათ ადგილზე „მოსკვალები“ ჩაასახლა. მეთექვსმეტე საუკუნეში, ივანე 4-ხე იპყრობს ყაზანს, აქაც განმეორდა ნოვგოროდის აყრა-გადასახლების „მეთოდი“. 1662 წ. ბაშკირების დასავლეთ ციმბირის მოსახლეობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსულ აგრესიას, მაგრამ დამპყრობლები გაუგონარი სიმკაცრით მოქმედობდა და კიდეც დაიპყო ის. 1707 წ. ყაზახთა დაპყრობა და ა. შ. მეფის რუსეთს 50 წლიწადი მოუნდა კავკასიის დასაპყრობად. ბისმარკის სიტყვით რომ გამოვთქვად „1864 წ. დამთავრდა 50 წლიანი კავკასიის წინააღმდეგ წარმოებული ომი. ეს იყო ნამდვილი ეკონომიური, გეოგრაფიული და სტრატეგიული თვალსაზრისით წამოწყებული, რითაც რუსეთმა შეიერთა კავკასიის დოვლათი“.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, მოყვარედ და მფარველად მოსულმა რუსეთმა, სრულიად წაშალა საქართველო გეოგრაფიული რუკიდან და ის თავის ორ გუბერნიათ გამოაცხადა. ამ დროიდან მოყოლებული ქართველ ხალხს არც ერთი ხელსაყრელი შემთხვევა არ გაუშვია, რათა მსოფლიოსათვის დაენახვებინა, რომ მასში არ ჩამკვდარა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა. 117 წლის შემდეგ რუსული რევოლუციის შედეგად ,მეფის იმპერიის დარღვევამ, შესაძლებლობა მოგვცა საქართველო კვლავ დაბრუნებოდა თავის ისტორიულ ტრადიციას და დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

დასავლეთელ მოგზაურების აზრით, მეფის რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე, საქართველო წარმოადგენდა ოაზისს, სადაც ყველას მშვიდათ და თავისუფლად შეეძლო ეცხოვრა. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ქართული ბუნება ზომიერია და ის უკიდურესობამდე არ მიდის. თვით რევოლუციონური ფქიქოზით ალტყინების მომენტშიც კი საქართველო „რევოლუციის“ შუა გზაზე შეჩერდა. ქართველი ერი, თავის ტრადიციის მიხედვით, დინჯათ და მოფიქრებულად შეუდგა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას და მსოფლიო კულტურულ ერთა ოჯახში თავისი საპატიო ადგილი დაიჭირა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო გამარჯვებულ „ანტანტის“ უმაღლესმა საბჭომ, რასაც თან მოჰყვა მრავალ ქვეყნების მიერ ცნობა. მათ შორის თვით საბჭოთა რუსეთის მიერაც. 1920 წლის მაისის 7-ის ხელშეკრულებით, რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და აღგვითქვა, რომ არ ჩაერეოდა ჩვენს შინაურ ცხოვრებაში. მაგრამ, წითელმა რუსეთმაც ისევე შეგვისრულა პირობა, როგორც მისმა წინაპარმა, მეფის რუსეთმა და ცხრა თვის შემდეგ, შემოგვესია წითელი ჯარი. ამ გვარად 120 წლის განმავლობაში რუსეთმა ორჯერ დაიპყრო საქათველო, ორჯერ დაარღვია პირობა და ორჯერ დაგვიმტკიცა თავისი მუხანათობა.

საქართველოს წარსული დამარცხება-გამარჯვებების ისტორიაა. ბევრჯერ გადაუვლია მრისხანე ქარიშხალს ჩვენ კურთხეულ მიწაზე, მაგრამ ჩვენი წინაპრები სანიმუშო თავგანწირვით იცავდნენ სამშობლოს და ღვთისგან მონიჭებულ ეროვნულ თავისუფლებას. ჩვენი მრავლის ნახული ისტორია უამრავ მაგალითებს იძლევა, რათა ყოველ პირობებში ქართველმა თავის ეროვნული საქმე აკეთოს. ამის საიმედო ნიმუშები დღესაც ბევრი გვაქვს.

1921 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა; მსოფლიო რუკა აჭრელდა ახლად წარმოშობილ სახელმწიფოებით. უცვლელი დარჩა მხოლოდ რუსული კომუნისტური იმპერიალილიზმი, უფრო მადა გახსნილი და აგრესიული, ვიდრე როდისმე იყო. სამაგიეროდ, ასევე უცვლელი დარჩა ქართველი ერის გამძლეობა, მისი სულიერი სიმტკიცე და სიცოცხლის მაჯისცემა. დღეს, 26 მაისის დღესასწაულზე ჩვენი შინაგანი გრძნობა-განცდებით გაერთიანებულია მთელი საქართველო. ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვხატავთ დაპყრობილი ერის ნება-სურვილს და ჩვენ ვატარებთ მისგან აღიარებულ 26 მაისის დროშას. ჩვენ, ვიმეორებთ, რადგან დამპყრობელმა რუსეთმა ქართველ ერს ამის უფლება წაართვა. დღესაც ამ ბრწყინვალე დღესასწაულის წლის თავზე მთელი საქართველო და მის ჰაერ ნატრული ემიგრაცია თავის ეროვნულ მისწრაფებებში გაერთიანებულია, როგორც ისტორიულად იყო ყოველი საფრთხის წინაშე. თავისუფალ ქვეყნებში მცხოვრებ ქართველების მოვალეობაა ერთობილად და განუყოფელად მივეძღვნათ 26 მაისის იდეას.

მე მინდა ჩემი სიტყვა დავასრულო ამერიკის თავისუფლების იდეაში ჩაფერფლილ ჰენრი პატრიკის ფორმულით: „მომეცით თავისუფლება, ან სიკვდილი“.

ვ. სანგულია

(სიტყვა წარმოთქმული 26 მაისის საზეიმო კრებაზე).

* * *

საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(გაგრძელება. დას. იხ. „ქ. აზრი“ № 86)

როგორც ზემოდ ვახსენედ, ეს საბჭოთა ავტორები ხოტბას ასხამენ გერმანელების ტყვეობაში მოხვედრილ და შემდეგ გერმანულ ჯარში ჩაწერილ პირთა იმ უმცირესობას, რომლებმაც, მოგვიანებით პირი იბრუნეს; კომუნისტური ორგანიზაცია დაარსეს და წითლების მხარეზე გადასვლა მოისურვეს. პირველად ყოვლისა, გვინდა მოვაგონოთ მათ, რომ ყოველი ტყვედ ჩავარდნილი საბჭოეთიდან, ზემოაღნიშნულთა ჩართვით, კრემლმა ავტომატიურად მოღალატედ გამოაცხადა, მან ჟენევის საერთაშორისო კონვენციას ხელი არ მოაწერა და ისინი სავსებით გასწირა.

მოგვიანებით დავინახავთ, რომ ეს იურიდიული ფაქტი იმ გერმანელებს, რომლებიც ჰიტლერის პოლიტიკს წინააღმდეგ, აღმოსავლეთელ ტყვეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძოდნენ, ხელს დიდათ უშლიდა. ალექსანდრე სოლჩენიცინის წიგნი „ერთი დღე ივან დენისოვიჩის ცხოვრებიდან“ ჭეშმარიტად აღწერს ერთ-ერთ ასეთ საცოდავი ადამიანის დაბრუნებას წითელ „სამშობლოში“ და აქ მის ტრაღედიას. საბჭოთა საქართველოში გამოცემული გაზეთი „სამშობლოში დაბრუნებისთვის“, (მოგვიანებით სახელშეცვლილი „სამშობლოს ხმა“ და „სამშობლო“) აცხადებს ქართველების გვარებს, რომლებსაც თურმე საქართველოში ნათესავები „ეძებენ“ და „მოელიან“. ემიგრაციაში ცნობილია, რომ ზოგი იმათთაგანი ომის დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნდა და ცხადია, სახლამდე ვერ მიუღწევია, ივანე დენისოვიჩის მსგავსად.

მეორე: საქართველოსათვის მეორე მსოფლიო ომი არ იყო სამამულო, აქ გერმანია საქართველოს კი არა, რუსეთს დაეჯახა, იმ რუსეთს, რომელმაც საქართველო ორჯერ დაიპყრო. საბჭოთა რუსეთმა, ისევე, როგორც მეფისამ, ხელშეკრულება დაარღვია და წითელმა ჯარმა ბრძოლების შემდეგ დაიკავა საქართველო. ხალხის უმრავლესობის მიერ, დემოკრატიული წესით არჩეული საქართველოს მთავრობა, მისი თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, იძულებული გახდა საფრანგეთში გახიზნულიყო. უცხოეთში იგი და მის ირგვლივ შემოკრებილი ემიგრაცია, რომლის ერთი ნაწილი მთავრობის პოლიტიკურ ოპოზიციას წარმოადგენდა, განუწყვეტლივ იბრძოდნენ საქართველოს შელახული უფლებების აღსადგენად საერთაშორისო ასპარეზზედ.

ამას ჩვენ ქვემოდ კიდევ შევეხებით. საქართველოში ზემო აღნიშნულ წიგნთა ავტორებს და მათ პატრონებს კი გვინდა გავახსენოთ მათი ბელადი ლენინის სიტყვები, 1921 წლის თებერვალში წითელი ჯარის საქართველოში შემოსევის გამო, რომელიც სტალინის სურვილით, ს. ორჯონიკიძეს და ფ. ძერჟინსკის უშუალო ბრძანებით დაიწყო. ლენინი სწერდა: თუ საქმე იმ სიშორეზე წავიდა, რომ ორჯონიკიძემ და ძერჟინსკიმ თავის თავს ნება მისცეს რათა ფიზიკური ძალა ეხმარათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ჭაობში ჩავფლულვართ ჩვენ. ცხადია, ეს მთელი საქციელი სავსებით შემცდარი და უდროოა“. „ამბობენ, თითქოს, ერთიანობის აღდგენა იყო საჭირო, საიდან წარმოიშვა ეს დებულება? სწორედ იგივე რუსული აპარატისაგან, რომელიც ჩვენ ცარიზმიდან ჩავიბარეთ და მხოლოდ ცოტათი გავპოხეთ საბჭოთა ზეთით ასეთ პირორებში სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენი კანონ-სამართალი ფას მოკლებული ქაღალდის ნახევს წარმოადგენს, რომელიც სავსებით უვარგისია არა რუსთა, რუსების ინვაზიისაგან დასაცავად“ იმ ნამდვილ დიდ რუს შოვინისტებისაგან, მოძალადეობისა და გახრწნილებისაგან, როგორც საერთოდ ტიპიური რუსი ბიუროკრატი არის“. „ჩემის აზრით ამ რუსული ძალადობის და ხელის წაწვდომის გამართლება არ შეიძლება არც არავითარი პროვოკაციის, ან შეურაცყოფის მომიზეზებით და ამხანაგებმა ორჯონიკიძემ და ძერჟინსკიმ გამოუსწორებელი დანაშაულით თავი დაიმძიმეს, სწორედ იმიტომ, რომ ასე ადვილად წავიდნენ ძალადობაზედ და ხელის წაწვდომაზედ“ . . . „მიუტოვებელი ოპორტუნისტობა არის, რომ ის ავტორიტეტი, რომელიც ჩვენ გვაქვს, დავმარხოთ, თუნდაც მცირეოდენი უხეშობით და უსამართლობით არა რუს ერთა წინაშე. ერთია, რომ ჩვენ დასავლეთის იმპერიალისტების საწინააღმდეგოთ დავირაზმოთ, რომლებიც კაპიტალისტურ წყობილებას იცავენ; ამაში შეეჭვება არ შეიძლება და ცხადია, ასეთ ღონისძიებებს მე ვეთანხმები, მაგრამ სულ სხვა საქმეა, რომ ჩვენ თვითონ იმპერიალისტურ საქმიანობაში ვებმებით და ამით მთელ ჩვენ პრინციპებს სამართლიანობისა და იმპერიალიზმის საწინააღმდეგოთ თვითონვე ვმარხავთ“ (იხ. **Der Spiegel № 16 13 April 1970** — გვ. 180).

ლენინის ამ სიტყვებს კომენტარიები სჭირდება. მაგ. მის ნამდვილ განწყობილებას ამჟღავნებს ზემოდ აღნიშნული გამოთქმა: „ცხადია: ეს მთელი საქციელი სავსებით შემცდარი და უდროოა“ . . საქართველოს ანექსიამ იმ დროს ევროპაში ბევრი პროტესტები გამოიწვია, სხვათა შორის მუშათა სოციალისტურ პარტიებში, მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობა სოციალ-დემოკრატების მიერ იყო შედგენილი მუშათა „განმათავისუფლებელი“ და „ბელადი“ ლენინი ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა და თავისი სახელის გადასარჩენად საჭიროდ დაინახა სხვებისთვის გადაებრალებინა ეს საქციელი. ცხადია, მან არავითარი ღონისძიება არ მიიღო წითელი ჯარის საქართველოდან გასაყვანად. პირიქიდ, იგი იმავე წლის აპრილის 18-ს, თავის წერილში, მიმართულ ქართველ კომუნისტებისადმი, ამბობდა: საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით სასტიკი კამპანია სწარმოებს დასავლეთ ევროპაში რუსეთის წინააღმდეგ. საჭიროა საქართველოს რევკომმა ენერგიული კონტრ-პროპაგანდა ჩაატაროს და დაამტკიცოს, საბჭოთა რუსეთის კეთილ განწყობილება საქართველოსადმი და რომ ქართველმა მუშამ და გლეხმა დაამხო ბურჟუაზიული მთავრობაო“.

ლენინის ამ დავალებას დღემდე ყურმოჭრილად ემსახურება საქართველოს კომ. პარტიის ზოგი მესვეური და მათი პროპაგანდა ზემოთ აღნიშნულ წიგნთა მსგავსად; ხოლო ლიდერების ის ნაწილი, რომელმაც დამოუკიდებელი აზროვნების, ან მოქმედების, განწყობილება გამოამჟღავნა „განადგურებული“ იქმნა. ფილიპე მახარაძე 1921 წლის დეკემბრის მოხსენებაში, მოსკოვისადმი, სხვათა შორის ამბობს: . . . „საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ წითელი არმიის შემოსვლამ საქართველოში და აქ საბჭოთა რეჟიმის გამოცხადებამ, მიიღო აშკარა გარეშე ძალის დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან იმ დროს შინაურ აჯანყებაზე არავინ ფიქრობდა“ . . . „საბჭოთა რეჟიმის გამოცხადების დღეს საქართველოში არ აღმოჩნდა არამც თუ არც ერთი პარტიული უჯრედი, არამედ არც ერთი წევრი პარტიისა, რომელიც შესძლებდა ხელისუფლების ოგანიზაციის მოწყობას და ძალაუფლებას დაეპატრონნენ მეტად საეჭვო ხალხი, უმთავრეს შემთხვევაში კი უბრალოდ კრიმინალები“-ო.

ლ. ტროცკი, საზღვარ გარეთ ლტოლვილი, აქ გამოცემულ თავის წიგნში ამის შესახებ სხვათა შორის სწერს: „როგორც სჩანს სტალინს დაავიწყდა, რომ ჩვენ საქართველოსთან მეგობრობის და არა აგრესიის პაქტს ხელი მოვაწერეთ, 1917 წლის 7 მაისში და ამის შემდეგ მისი ბრძანებით 1921 წლის 11 თებერვალს წითელმა არმიამ საქართველოს საზღვარი გადალახა“-ო.

„ამხანაგ“ ტროცკის, ალბად თავისი წინანდელი მუქარა ემიგრაციაში დაავიწყდა. საქართველოში წითელი ჯარის შესვლის შემდეგ მან სთქვა: „ხოლო თუ საქართველოს დატოვება დაგვჭირდა, კარებს ისე გავიჯახუნებთ, რომ ქვა-ქვაზე აღარ დარჩებაო“.

მესამე: მოკლედ თვალი გადავავლოთ ქართველი ერის ეპოპეას საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის ქვეშ. მოვიგონოთ კოლექტივიზაციის „პროგრამის“ უხეში ძალით გატარება და გლეხობის განადგურება, ამ მიზნით ახალი საბჭოთა კლასი „კულაკი“ გამოიგონეს. არავინ იცოდა თუ ვინ იყო „კულაკი“. ადგილობრივად შექმნილმა „კომუნისტურმა კომიტეტებმა“, ბრძანების მიღების შემდეგ, საჭირო კულაკთა სია წარადგინეს ყოველგვარი კრიტიკის გარეშე და ეს საცოდავი ოჯახები სოფლებიდან გააძევეს, ისე რომ არაფრის წაღების უფლება არ მისცეს. მათ შორის მრავალი მოხუცი, ბავშვი და ქალი ერია. მოვიგონოთ ამის საპასუხო გლეხთა აჯანყებები. მაგ. კახეთში, დუშეთში, აფხაზეთში და სამეგრელოში, რომლებიც სისხლში იქნენ ჩახრჩობილნი; თვით ქართველი კომუნისტები: მახარაძე და ელიავა ამას აღიარებდნენ იმ დროინდელ თვეიანთ წერილებში. (იხ. **D. M. Lang. A Modern History of Soviet Georgia. pp. 247, 248, 249, 250, 251**).

„პროლეტარიატის ხელისუფლებამ“ ქართველი მუშა, სხვებთან ერთად, პოლიტიკურად დამარხა; სხვა პარტიების (მათ შორის სოც. დემოკრატიული პარტიის) აკრძალვით, ქონებრივად გაყვლეფა, პროფესიონალურ კავშირების კრემლის ინსტრუმენტად გადაქცევით და არა ადამიანური ნორმების დადგენით, რისი ერთ-ერთი გამოვლინება „სტახანოვშჩინა“ იყო. ფიზიკურად გაანადგურეს მუშათა ის ათასები, რომლებმაც ამის საწინააღმდეგოდ ხმის ამოღება გაბედეს.

მოვიგონოთ მეორე „ხუთი წლის გეგმა“ 1932 წლიდან 1938 წლამდე, რომელიც საშინელი მსხვერპლის გაღებით „ჩატარდა“. მძაფრმა ტერორმა იმსხვერპლა აგრეთვე ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. ამ ბედს ვერ ასცდა ქართული კომუნისტური პარტიაც, რომლის, თითქმის ყველა ძველი მეთაური, სხვა და სხვა მოსაზრებებით, როგორც ზემოდ ითქვა ფიზიკურად გაანადგურეს. იშვიათი იყო ისეთი ქართული ოჯახი, რომელიც იმ დროს არ დაზარალდა.

წითელი ჯარის ქართული ნაწილები, უნ-

ქსნის საერისთავო და მისი უკანასკნელი ერისთავები

(ისტორიული ნარკვევი)

(გაგრძელება. იხ. ქ. აზრი“ № 85)

ამის გასაცნობად განსაკუთრებით საყურადღებოა „აღწერა ქსნის ხეობისა“; რომელიც გვხვდება დიდებულ ისტორიკოსის და გეოგრაფის ბატონიშვილ ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიაში“.

მოვიყვანოთ აქედან ზოგიერთი ადგილები: ქსნის ხეობის მონასტრების და სიმაგრეების აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი სხვათა შორის გვაუწყებს: „ხოლო **ოძის** ზეით არს მონასტერი **ხოფა,** უგუმბათო, დიდ-შენი კეთილად და ცარიელი ... მის ჩრდილოეთ არს მცირე ქალაქი **ახალგორი,** სასახლითა ქსნის ერისთავისა. მას ზეით ქსნის დასავლეთით კიდესაზე, არს ციხე დაბასა **წირქვალსა.** ამის სამხრით ძველსა და ახალ დაბას შუა არს **ახალდაბის ციხე** ამილახორისა. წირქვალს ზეით ჩრდილოთ არს მონასტერი **კაბენი,** გუმბათიანი, ყანჩაეთს, კეთილად ნაშენი, შვენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ ... ზებე ყურის მთის ძირს არს **ხადის ციხე,** მაგარი ...“

აქ გვინდა კაბენის მონასტრის აღწერაზე შევჩერდეთ. მოსე ჯანაშვილის ცნობით ეს შესანიშნავი შენობა აგებულია თლილის ქვისაგან და მოჩუქურთმებული მსგავსად იკორთის, მეტეხის და სხვათა ტაძართა. ამას უფრო გარკვევით ადასტურებს ექ. თაყაიშვილი (იხ. ქვევით).

1848 წ. კაბენის მონასტერი და ტაძარი დაუთვალიერებია მარი ბროსეს, რომელსაც სხვა იშვიათ საგანთა შორის უპოვია ერთი განჯინა, სავსე პერგამენტებზე შესრულებულ ხელთნაწერებისა ნაწილებით; სინესტისა და მატლების (ჩირის) მიერ ეს ძვირფასი ხელთნაწერები შეჭმული, ან ფრიად დაზიანებული ყოფილან.

„განა ხავალალო არ არის“, მწუხარებით ამბობს მოგზაური აკადემიკოსი, „რომ ამგვარი დაუდევრობა გასაქრობად სტოვებს უძველეს ლიტერატურის ძეგლებს, რომელიც მიაჩნიათ ღარიბად მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ იცნობენ ... აქ მე სხვათა შორის ვიპოვე ერთი ნიმუში (მოდელი) ქართული ხელოვნებისა, რომლის მსგავსი სხვა ადგილას არ შემხვედრია ... ეს იყო ტაძრის მოდელი, გამოჭრილი ბზის ხისაგან; მასზე თქვენ ნახავდით შენობის დეტალებს ყველა თავის გუმბათით, თაღებით, ჯვრით და სხვ., რაც შესრულებული იყო დიდის ოსტატობით“.

ჩვენი ცნობილი არქეოლოგი და მკვლევარი ექ. თაყაიშვილი კაბენის მონასტრის აღწერაში ამბობს, რომ ზედმიწევნით სწორია ბატონიშვილ ვახუშტის დასკვნა, რომ კაბენის მონასტერი მომხიბლავია თავისი მდებარეობით და თავის დროზე მტკიცედ ნაგები ყოფილა, მაგრამ ეხლა ის სავალალო მდგომარეობაშია და მიწერილია ახლო მდებარ ყანჩაეთის ეკლესიის სამრევლოზე. დღეს ი უპატრონოდ არის და თანდათან ირღვევა

„ამავე დროს“, განაგრძობს მკვლევარ „ის არის ყველაზე უმშვენიერესი ძეგლი მო ელ ქსნის ხეობაში და სილამაზით არ ჩამო უვარდება საქართველოს საუკეთესო ტაძრ ბს. ამ ჟამად კი მისი მშვენიერება დამახინჯებულია ბოლო ხანში მომხდარ „გადაკეთ ბა-მიშენებებით...“ ტაძრის აღმოსავლეთ ფ სადის მდიდრული მოპირკეთება არ ჩამოუვარდებოდა გუდარეხის, სამთავროს, იკო რთის და სხვა მრავალ ჩვენ ტაძრებისას 11-1 საუკუნეთა“ (იხ. ექ. თაყაიშვილის „ქსნის ხეობის ტაძრების აღწერა“, „სბორნიკ“ № 44).

დღეს ამ ტაძრის იშვიათი ჩუქურთმები ჩამონგრეულია და შემდეგ შელესილი, რითაც საბოლოოდ დამახინჯებულია. ასევე გამქრალია (ე. თაყაიშვილის ცნობით) მისი ძვირფასი ფსკერები, ამათგან 1848 წ. ბროსეს რამდენიმე მაინც უნახავს, ხოლო, 1908 წ. ისენიც წაშლილი ყოფილან. არც იმ შესანიშნავ ხელთნაწერთა განჯინაში უპოვნია რაიმე ექ. თაყაიშვილს, რამაც თავის დროზე განაცვიფრა მარი ბროსე და რის უყურადღებოდ მიტოვებამ დიდათ ატკინა მას გული. ვერც ის მშვენიერი ბზის ხისაგან გამოჭრილი მოდელი, რომლითაც აღტაცებაში მოვიდა აკ. ბროსე, უპოვნია ექვთიმეს; რაიმე მორთულობა-იარაღიდან ტაძარში ხომ არა დარჩენილა რა; არც რაიმე წარწერებია დღეს დაცული„ მაგრამ წყაროებიდან ვიცით, რომ კაბენი ხელმეორედ აუგია (14 საუკუნეში) ქსნის ერისთავს იოანეს, რომელმაც ლარგვისის მონასტერსაც ახალი ნაგებობა შემატა.

ბ-ნ ე. თაყაიშვილის აზრით ეს ძველი მონასტერი კაბენისა 12, ან 13 საუკ. უნდა აეშენებინათ. ზოგი შესანიშნავი ძეგლი და განძეულება კაბენისა გადაუტანიათ ყანჩაეთის ეკლესიაში, რომელსაც ეს გაუქმებული და შესანიშნავი მონასტერი მიაწერესო.

კაბენის მონასტრის იშვიათი განძეულობიდან და უძველეს ხელნაწერებიდან ცოტა რამ გადარჩენილა. უმთავრესად ის, რაც მასთან ახლო მდებარე ყანჩაეთის ეკლესიაში გადმოუტანიათ. ჩვენს არქეოლოგ ე. თაყაიშვილს ყანჩაეთის ეკლესიაში, 1908 წ. ქსნის ხეობის დათვალიერების და აღწერის დროს, აღმოუჩენია ტყავზე დაწერილი, იშვიათი სახარება, რომელიც კაბენის მონასტრის საკუთრება ყოფილა. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის განძი შესდგებოდა 31 რვეულიდან (259 გვ.), რომელიც შემკობილი ყოფილა მახარობლის ფერადიანი, კარგად შესრულებულ სურათებით. ეს იშვიათი სახარება, რომელიც ე. თაყაიშვილის გამოკვლევით მეთორმეტე, ან, უგვიანეს, 13-ტე საუკუნეშია გადაწერილი, შეადგენდა წინათ კაბენის მონასტრის კუთვნილობას. „ეს მონასტერი“, დასძენს არქეოლოგი, „ეხლა გაუქმებულია და ნელ-ნელა ინგრევა უპატრონობის გამო“.

ამ სახარებას ექ. თაყაიშვილი **უხვი მინაწერების გამო „კაბენის ეკლესიის გუჯართა კრებულს“** უწოდებს.

მინაწერებში (თავისუფალ ფურცლებზე და არშიებზე) აღნიშნულია შეწირულებანი: „ვისაც რა შეუწირავს კაბენის ეკლესიისათვის, ყველა აქ დაუწერიაო“, გვეუბნება ავტორი და მოჰყავს „ამონაწერები“. საინტერესო „მინაწერებზე“ ჩვენ ეხლა ვერ შევჩერდებით, მაგრამ გვინდა მოკლედ მოვიხსენიოთ ერთი გუჯარი, რომელსაც მკვლევარი 16-ტე საუკუნით ათარიღებს.

„... ესე უკუნისამდე ჟამთა გასათევებელი“, სწერს გუჯერში იასე ერისთავი, „მცირე შესაწირავი შემოგწირეთ ჩვენ, ძემან ქუცნიფნევლისაგან, ერისთავთა ერისთავმან, პატრონმან იასე და თანამეცხედრემან შუენმან პატრონმან როდამ და ძეთა ჩუენთა **ლარგუჰლმან და ქუცნიფნებელმან** ცოდვათა ჩუენთა შესანდობლად და ძეთა ჩუენთა სადღეგრძელოდ **ჩუენთა პაპათაგან სასოებით აღშენებულსა კაბენს** გესმნიისა ღვთის მშობელს კაბენს ჯინჯინაურის მამული ... მთითა, ბარითა, წყლითა, წისქულითა და სასახდვითა და სეფეობითა ... ასრე რომე ჩვენგან არა სათხოვარი და არა გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა ლაშქარ ნადირობის მეტი ... და სხვ. (იხ. ე. თაყაიშვილი, „ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები“ „ძველი საქართველო“, ტ. 1, განყ. 3, გვ. 61. ავტორი გვაუწყებს, რომ ცნობები ამ სახარების შესახებ მოყვანილი აქვს თ. ჟორდანიას თავის „ქრონიკებში“ 2, მაგრამ მინაწერებიდან მას მხოლოდ სამიოდე აღუნიშნავს და ისიც შეცდომითო).

არა ნაკლები მნიშვნელობის ძეგლია მეორე ხელნაწერი, ძველად კაბენისავე საკუთრება და ეხლა ყანჩაეთში ნაპოვნი, „ჟამგულანი“, რის აღწერა თ ჟორდანიას 1897 წ. თავის შესანიშნავ „ქრონიკებში“ შეუტანია. მაგრამ უფრო დაწვრილებით და ფოტო-სურათების დართვით ექ. თაყაიშვილმა გაარჩია. ხელნაწერი შეიცავს მრავალ ისტორიულ ცნობებს, რომლებიც მინაწერების სახითაა დაცული. მას ამკობს მრავალი სურათები, რაც ადასტურებს მაღალ ხარისხს ქართულ მინიატურულ ხელოვნებისას 17-ტე საუკუნეში. მკვლევარის აზრით „ეს სურათები ბევრათ უფრო რთული და მრავალფეროვანია“, ვიდრე ყანჩაეთის ერისთავთა და უჯდომელის და მდიდარ მასალას იძლევიან მაშინდელ ქართულ ხელოვნების შესწავლისათვის. კინკლოსების ისტორიული ხასიათის მინაწერები მიყვანილია 1679 წლამდე და შეიცავენ ცნობებს 15-ტე საუკუნიდან მოყოლებით.

მრავალ საყურადღებო მინაწერებიდან, რომლებიც აკ. ე. თაყაიშვილს მოჰყავს, გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი, რომელიც ეხება შანშეს და ქეთევან ერისთავების მღელვარე ხანას, თურქეთ-ირანის ბატონობას, დაუსრულებელ მიხტომ-მოხტომას, ქვეყნის საშინელ რბევას, ფეოდალურ არისტოკრატიის ბრძოლას სამეფოს წინაამდეგ და მათ გაუწყვეტელ განდგომა-ღალატს. მიუხედავათ მისი დაზიანებული ადგილებისა ეს ერთი ჩანაწერიც ბევრი რამის მეტყველია.

„414 — 1726 ... ამ დროს ქართლი თათრებს ეჭირა და ირანის მამული თავრეზი და თავრეზს აქეთი ქალაქები, ქვეყნები განჯა, ერევანი, შემახია და მრავალი სხვა ასე დამორჩილებული და დამონებული ყვანდათ საქართველოს შვილნი დარბაისელნი, რომ თათრის ერს არ კირთებოდა ... კახეთი იმავე დროს ლეკს ეკირთებოდა და საქართველოს არბევდნენ. მუხრანის ქვეყანა წამხდარიყო ... ანანურს ზე ... ძირამდე ცილობა იყო სპტრხო .. სა ... არი .. მეფე რუსეთს იყო (ვახტანგ 6) ცოლშვილითა და ბევრნი ვინმე წაყვნენ საქართველოსი და კახეთის დარბაისელნი. ამავ დროს კ — ზი დომენტი სტამბოლს ხვანთქართან იყო; და იქაც ვინა ვინ საქართველოს დარბაისელნი, მუხრანის ბატონი, **არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი,** ესენიც ერთმანეთის მტერნი და მოქიშპენი იყვნენ; არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ, ვერც რას უზამდნენ, ვერც არას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე. ამათი **საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა,** მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ ...

... ღმერთი ამას იქით რას გვიზამდა ის კი არ ვიცოდით“ ამგვარი გულისტკივილით ამთავრებს 1726 წლის ამბის ჩამწერი. მართლაც წინასწარმეტყველური იყო მისი შიში, თუ რა მოუვიდოდა ქვეყანას მის შემდგომ.

ამილახვრების, ერისთავების და სხვათა მაშინდელმა ცდამ თურქეთის კარზე უქმად არ ჩაიარა. „მოძრაობა თურქთა ისეთივე სახიფათო შეიქმნა, როგორც სპარსეთისა, ამბობს ისტორიკოსი კუტკოვი — ის დამთავრდა იმით, რომ მათ მოინდომეს ქართლის მთლიანად მიტაცება?.

აქვე გვინდა კიდევ ერთი ხელნაწერი მოვიხსენიოთ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა მიეკუთვნება და რომელიც ქსნის ერისთავთა ოჯახშია მოძიებული.

ჩვენ დაუღალავ მკვლევარ ე. თაყაიშვილს 1898 წ. კახეთში, გენ. კიაზო ერისთავის ოჯახში „დაუჯდომელი ღვთისმშობლის“ იშვიათი ხელნაწერი უპოვნია, რომელიც მზითვად მოჰყოლია მის მეუღლეს, ქსნის ერისთავის ასულს. თვით კიაზო არაგვის ერისთავების მემკვიდრე ყოფილა, რომლებიც მეფე ერეკლეს კახეთში გადმოუსახლებია (ალბათ არაგვის საერისთაოს გაუქმების შემდეგ).

ხელნაწერი ბევრაირად ყოფილა შესანიშნავი. გადაწერილია 1681 წელს კათალიკოს ნიკოლოზის ინიციატივით და მისი შემსრულებელია ვინმე მიქელი. თვითეული გვერდი მოოქრულ ჩარჩოშია ჩასმული. „სიმდიდრე და დიდი (მაღალი) ხარისხი დაუჯდომელისა“, აკად. ე. თაყაიშვილის აზრით, „მდგომარეობს მის შესანიშნავად შესრულებულ მინიატურებში, აქ ვპოულობთ 73 მაღალ ხარისხოვან სურათებს. საღებავები საუცხოოდ შენახულა, კომპოზიცია და ტექნიკა განსაცვიფრებელია. შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს 17-ტე საუკუნის საუკეთესოდ შესრულებულ მინიატურებთან“. (იხ. „სბორნიკ“-ის №29, 1901 წ.) საგანგებო მხატვრული და ნაციონალურ ღირებულობის გარდა ეს განძი შესანიშნავი იმითაც ყოფილა, რომ მას დართული აქვს ცალკე ფურცლები, რომლებიც შეიცავენ ისტორიულ ცნობებს. ეს კინკლოსები ავსებენ ჩვნი ქრონიკის ხარვეზს ბაგრატ 4 (1072) ხელმწიფობიდან 1605 წლამდე. ამრიგად ის უნდა ჩავთვალოთ სუმბათის ბაგრატიონთა ისტორიის დამატებად, რომელიც მიყვანილია ბაგრატ მეოთხემდე და შეიცავს პარიზისა და მესხეთის ფსალმუნების ქრონიკებს. მკვლევარის აზრით ერისთავთა ქრონიკები უდაოდ უფრო ძველია, ვიდრე პარიზის ქრონიკა. აი, ასეთი განძი გაუყოლებია მზითვად ქსნის ერისთავს თავისი ასულისათვის და ვინ იცის კიდევ რამდენი ამგვარი და უფრო შესანიშნავი უნიკუმები ჩვენი დიდი წარსულის განძეულობიდან ინახებოდა ქსნის ერისთავების ოჯახებში და რამდენი განადგურდა ...

გავყვეთ მეცნიერ ბატონიშვილ ვახუშტის აღწერებს; „ქსნის ხევისას და მამულისა მისისას.“ ქსნის სიამაყის, ლარგვისის მონასტერსასახლის შესახებ ბატონიშვილი მოგვითხრობს: „საძეგურის ჩრდილოთ არს მონასტერი ლარგვისი, წმიდის თევდორესი, აღმოსავლეთით უდის ქსანი, სამხრით ჰურთის წყალი; უგულბათო, შემკული ყოვლითა, რომელი გუგუმბათოვან —ყო ერისთავმან დავით“ და სხვ.

ეს ის დავით ერისთავია, რომელიც დავით 3-ს სახელით 1751 წ. ერისთავობდა და რომლის დედა იყო ქეთევან, რომელსაც ჩვენი „ფარდა“ მოუქარგავს და თბილისის სიონისათვის მიუძღვნია, ამის შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი.

(გაგრძელება იქნება)

† აკაკი პაპავა

საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(დასაწყისი იხ. პირველ გვ.)

დობლობის გამო, დაშალეს და ქართველი მეთაურობა, თუ რიგითი ჯარისკაცი მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე, რუსულ ნაწილებში დაქსაქსეს და ამრიგად თავის მიწა-წყალს „მშვიდობიანობის“ დროსაც კი მოაშორეს.

მეოთხე: ასეთი პირებიდან წარმოშობილი ქართველ ჯარისკაცთა უმრავლესობა, ცხადია, თავს არ შეაკლავდა საბჭოთა რუსეთის დაცვას. ისენი ერეკლე მეფეს ხომ არ მიჰყვებოდნენ ასპინძის ველზე?

არამც თუ ქართველები და, საზოგადოთ არა რუსები, არამედ თვით რუს ჯარისკაცთა დიდი ნაწილიც კი არ სწირავდა თავს და სტალინის მიერ 1941 წლის 3 ივლის რადიოში წარმოთქმულ მოწოდების საწინააღმდეგოთ, შედარებით ცოტა ბრძოლის შემდეგ, ათასობით ტყვეთ ჩაბარდა გერმანელებს, იმ იმედით, რომ ისენი მოუტანდნენ მათ თავისუფლებას საზარელ საბჭოთა რეჟიმისაგან.

მაგალითად, გერმანელებმა ტყვეთ ხელში ჩაიგდეს 29 ივნისიდან 7 ივლისამდე, ბელოსტოკ-მინსკის მიდამოებში 320.000; 16 ივლისში სმოლენსკისთან 300.000; 5-8 აგვისტოში უმანთან — 103.000; 24 სექტემბერს კიევთან 665.000; 18 ოქტომბერს ბრიანსკ და ვიაზმასთან 665.000. გერმანელები გარდა ამისა გააოცა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ, როგორც განმანთავისუფლებლეს ხვდებოდა, ხელში ტრადიციული პურ-მარილით. კრემლის წითელი იმპერიის დანგრევას ალბად ვერც ამერიკის და ინგლისის დახმარება შეაჩერებდა, რომ აქ სტალინს პარადოქსალურ დამხმარეთ, თვით ჰიტლერის და გაულაიტერ კოხის „აღმოსავლეთის პოლიტიკა“ არ გამოსჩენოდა. ამ პარანოიდულ-ბოდვითი „გერმანელების ზე-ადამიანურ“ თეორიაზე დამყარებულმა მოქმედებამ განწყობილება შესცვალა წითელ არმიაში, მოსახლეობაში, ტყვეებში და გერმანულ ჯარში მყოფ აღმოსავლეთელ ზოგ მოხალისეებშიც. (იხ. **Wallace Carrol — “Life” December 19, -949 Jurgen Thorwald, “Wen Sie Verderben Wollen, Peter Kleist, “Auch Du Warst Dabei; 1955, Verlag K. W. “Shütz, Gottingen Printed in Germany. pp. 265, 266, 276, 277, 278, 279)**.

ამის გამო კრემლის სასოწარკვეთილმა ხრიკმა, ომის კომუნიზმის ნაცვლად „სამშობლოს“ სახელით წარმოების მოწოდებით, ბოლოს და ბოლოს გამოძახილი ჰპოვა. სტალინმა ეს გეზი უკვე ზემოთ აღნიშნულ 1941 წ. 3 ივლისის არა ჩვეულებრივ მოწოდებაში აიღო, რომლითაც მან „ამხანაგებს, მოქალაქეებს, ძმებს და დებს“ მიმართა. მრავალმა რუსმა და ზოგმა არა რუსმაც — შეჩვეული, საკუთარი ტირანი ამჯობინა უცხოელ ტირანს. წითელმა არმიამ ბრძოლა უკეთესად დაიწყო; პარაშუტებით გერმანელების ზურგში გადასხმულმა „პარტიზანებმა“, მოსახლეობაში მხარის დამჭერები იშოვეს, ზოგმა პროპაგანდისტმა აღმოსავლურ მოხალისეთა ნაწილებში ფეხის მოკიდება შესძლო. აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, აგრეთვე გერმანელების დასაწყისში სწრაფ სამხედრო წარმატების შენელებამ. სწორედ ამის მაგალითებია ტაბიძეს და წიკლაურის მიერ „ბერგმანში“ კომუნისტური ორგანიზაციის შექმნა; ბატალიონ 795-დან კავკასიაში რამოდენიმე ათეული კაცის წითლების მხარეზე გადასვლა და ომის დამთავრების წინ ჰოლანდიაში ბატალიონ 822-ში ლეიტენანტ ლოლაძეს ‘ამბოხება მოახლოვებული ინგლისელების იმედით. ცხადია, ასეთი აქტები ომის მსვლელობაზე გავლენას ვერ მოახდენდა, ხოლო, სამწუხაროდ, მას რამოდენიმე ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

ეს ადამიანებიც, როგორც ზემოთ ითქვა, სბჭოთა მთავრობის მიერ მოღალატეებათ იქმნენ გამოცხადებული, გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნისთანავე; ეს დანაშაული კიდევ უფრო გაიზარდა გერმანული სამხედრო უწყების (ჰიტლერის სანქციის გარეშე) მიერ შექმნილ მოხალისეთა ნაწილებში შესვლით. ვერც აქ შეეგუვნენ მდგომარეობას და გერმანიის გამადჯვებაც საეჭვო გახდა. ამ მდგომარეობიდან ისენი მარტივი მეთოდით შეეცადნენ გამოსვლას„ სახელდობრ: „საბჭოთა პატრიოტობის“ დამტკიცებას, — შეთქმულების მოწყობით და ამგვარად „დანაშაულის“ გამოსყიდვას. ეს აბრუნდი მათ იმ დროს, ალბად არ უშველიდათ, როგორც ივანე დენისოვიჩს არ უშველა. მეოთხედი საუკუნის შემდეგ კი, საბჭოთა პროპაგანდისტები ამ „თემას“ საკუთარი მიზნით და ფაქტის გაყალბებით იყენებენ. ვილაც არ არსებული გერმანელი კომუნისტი ქალიც კი გამოიგონეს, რომელიც, თითქოს, გერმანული კომ. პარტიის დავალებით ტაბიძე-წიკლაურის ჯგუფს დაუკავშირდა დახმარების გაწევის მიზნით.

გარნა ქართველების უმრავლესობა სხვა გზას დაადგა, უფრო რთულს და უფრო სიძნელებით სავსეს. საქართველოს ინტერესების დასაცავად. ამის გასაგებად ისევ წარსულს უნდა გადავავლოთ თვალი.

(გაგრძელება იქნება)

გივი გაბლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარგას ანდერძი

ანდერძი, რომელიც ცნობილ ეკონომისტს ვარგას ეკუთვნის და რომელიც საბჭოთა რეჟიმის ყველაზე უფრო მძაფრ კრიტიკას წარმოადგენს, ვიდრე ეს ოდესმე მასზე დაუწერიათ. თუმცა ემიგრანტულ პრესას საბჭოთა რეჟიმის მხილება და კრიტიკა არა ერთხელ უწარმოებია. ხოლო ახლა, როცა ამ კრიტიკას თვითონ კომუნისტი აკეთებს, უფრო მნიშვნელოვანი და დამაჯერებელია. სოციალიზმის ამდენი ქება-დიდების შემდეგ, ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა და კრიტიკული აზრის დასაწყისის მომასწავლებელია. პერსპექტივაში მისი განვითარება და გაძლიერება იმედის მომცემია, რეჟიმის შერყევის და დასუსტების საწინდარია. ვარგას კრიტიკა, უდავოდ დიდის ჟინით, ვნებით, სიმკაცრით და სისრულით არის გაკეთებული.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ანდერძი ვრცელი არ არის (სულ რაღაც 25 ფურცელია), ისეთი შეგნებით და ნაღვლიან ტონითაა დაწერილი, იმ ადამიანისაგან, რომელმაც მთელი თავის სიცოცხლე კომუნიზმის მშენებლობას დაუკავშირა, გარდაცვალების წინ ადასტურებს, რომ „სანამ შეგნებული და პროგრესიული ბრძოლა არ წამოიწყება საბჭოთა დემოკრატიის საშინელი დამახინჯების წინააღმდეგ, რომელიც ახლანდელი რეჟიმის არსებითი დამახასიათებელია, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის (კომუნიზმზე ლაპარაკიც ზედმეტია) დამყარება შეუძლებელი იქნება, არც ოც წელს და არც ერთი საუკუნის განმავლობაში“. ამ შემთხვევაში და უამისოდ, ასკვნის ის, ერთად-ერთი რეჟიმი, რომელიც იქ შეიძლება დამყარდეს, კომუნიზმის პაროდია იქნება. ამის ნიშნები ახლაც ნათლად სჩანს.

ევგენი ვარგა, რომელიც მოსკოვში 1964 წელს გარდაიცვალა. წინად როგორც ცნობილია, უნგრეთის ეფემერიული საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკას ხელმძღვანელობდა, რომელიც 1921 წ. ბელა კუნამ შექმნა. უნგრეთის საბჭოთა წყობილების დამარცხების შემდეგ, მან თავის პოლიტიკური კარიერა საბჭოთა რუსეთში განაგრძო, სადაც ის კომინტერნის ხაზით მუშაობდა, მსოფლიო სოციალური რევოლუციის გასაჩაღებლად. შემდეგ ვარგა მსოფლიო პოლიტიკის და ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი გახდა და ამ თანამდებობაზე დიდხანს მუშაობდა. ამიერიდან ის მუდამ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა, სადაც ეკონომიურ საკითხებზე უამრავი წიგნები და ნარკვევები გამოაქვეყნა, რაც დიდ გამოძახილს პოებდა, როგორც თვით რუსეთში, ისე უცხოეთში და ხშირად უხვ კომენტარიებს იწვევდა. მისი ნაწერები ყოველთვის არ იყო პარტიის გენერალურ ხაზთან შეფარდებული და ეს უთანხმოებას და უსიამოვნებას იწვევდა, ხშირად კი უფრო მეტად სტალინის რისხვას იმსახურებდა, რაც რეპრესიებითაც მთავრდებოდა.

ვარგას ანდერძი არალეგალურად ჯერ თვით მოსკოვში გამოიცა. ახლახან კი ფრანგულ ენაზეც გამოვიდა, ცნობილ კომუნისტფილოსოფ როჟე გაროდის წინასიტყვაობით. ჯერ-არს ვიცოდეთ, რომ ის დიდი გავლენით სარგებლობდა და ახლაც სარგებლობს ინტერნაციონალურ კომუნისტურ მოძრაობაში, ხანგრძლივად იყო კომუნისტურ პარტიის და მისი პოლიტბიუროს წევრი, მარქსიზმ-ლენინიზმის შესახებ მრავალ შრომების ავტორია, ამ ბოლო დროს, სწორედ პარტიას დაშორდა საბჭოთა კავშირის აგრესიულ და იმპერიალისტურ პოლიტიკის გამო, რის გამოც პარტიის რიგებიდან კიდეც გარიცხეს.

როგორც წინასიტყვაობის დამწერი მართებულად აღნიშნავს, ვარგა არავის ავტორიტეტს არ ინდობს, მისთვის არავითარი ტაბუ (აკრძალული რამ) არ არსებობს, არ ერიდება დიდი სახელების აუგად ხსენებას და ლენინსაც კი კრემლის ფანტაზიორად, მეოცნებედ სახავს. ასევე, ის მეცნიერულ ანალიზს უკეთებს (მარქსისტულ ტერმინოლოგიის გამოყენებით) ლენინის მიერ რუსეთში სოციალიზმისაკენ აღებულ გეზს. როცა ვკითხულობთ ვარგას ანდერძს, ძალაუნებურად აქ გვაგონდება ძველი ლათინური ანდაზის სიბრძნე: **Corruptio optimi pessima** — „არ არის იმაზე ცუდი, ვიდრე კარგი რამ დაამახინჯო“. აქ იმის თქმა გვინდა, რომ ვარგა ლენინს, სტალინს და მთლიანად კომუნისტურ პარტიას უსაყვედურებს, რომ მათ სოციალიზმი საშინლად დაამახინჯეს, წარყვნეს. ჭეშმარიტად ეს კაცი შესაბრალისია, ძველი რევოლუციონერი, მებრძოლი ბოლშევიკი, უმწეო მდგომარეობაშია ჩაფლული. მიუხედავად იმედის გაცრუებისა, გამოსავალს ვერ პოულობს და თავის ძველ რწმენას, უნივერსალური ემანსიპაციის იდეალის, ჯიუტად, ბოლომდე უნდა ერთგული დარჩეს. გულგატეხილი იგონებს ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომლის პირდაპირი მიზანი იყო ძველი, გაბატონებული კლასების მოსპობა. ნაცვლად კი რას ხედავს? მის თვალ წინ ჩამოყალიბდა სრულებით ახალი პრივილეგიური კლასი, ბიუროკრატიულ იერარქიაზე დაყრდნობილი, მადა გახსნილ, უჩვეულო მოთხოვნილებათა ნომენკლატურით. ახლად შობილი კლასი, გაბატონებულ ფენებიდან წარმოქმნილი, რომელიც სოციალისტური საზოგადოების მთელ ცხოვრებას ფლობს, სრულის ხელისუფლებით აღჭურვილი, რაც ვარგას ძველი, ცარისტული რეჟიმის იგივეობად მიაჩნია.

ასეთი გონჯი სოციალიზმის საწყისად ვარგას მიაჩნია ლენინის თვით ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობის მცდარი გაგება და მისი მიზნების შეუფასებლობა, რაც საბედისწერო გახდა საბჭოთა რეჟიმის შემდგომი განვითარებისათვის. მისი აზრით, ზოგიერთები შეცდომას უშვებდნენ და ამას მიაწერდნენ რუსეთის კაპიტალიზმის ჯაჭვიდან, როგორც „ყველაზე სუსტ რგოლის ნაადრევად გამოთიშვას“ და არა ლენინის აჩქარებულ მოქმედებას. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ ჩამორჩენილ რუსეთის საზოგადოების კლასთა ურთიერთობის ორიგინალობით, სადაც ბურჟუაზიული და მუშათა კლასი თავის შეგნების სიმაღლეზე ვერ იდგნენ, რომელნიც ასე იოლად გადაეშვნენ ანარქიასა, არევდარევასა და პერმანენტულ შიმშილში. ამ ფაქტიდ რუსეთი ასცდა სწორ დემოკრატიულ და სოციალისტურ მიმართულებას და გახსნა პირდაპირ სოციალიზმში გადასასვლელი სრულებით ახალი გზა, რომელსაც მოდელათ, მისაბაძ ნიმუშად ვერ გამოიყენებდა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, სადაც (მარქსის შემდეგ ლენინიც ამტკიცებდა), სოციალისტური რევოლუცია უნდა დაწყებულიყო და არა ნახევრად ფეოდალურ-კაპიტალისტურ და კოლონიურ რუსეთში.

ვარგა ფიქრობს, რომ სტალინი მართალი იყო, როცა ნაადრევად შეამოკლა ნეპის (ახალი ეკონომიური პოლიტიკის) არსებობა და რომ უარყო მაშინ გაბატონებული აზრი, თითქოს შესაძლებელი იყო, ნებაყოფლობით „კულაკების დემოკრატიული აზღრდა და პროგრესიულად მის სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა“. ხოლო, ვარგა მაინც ულმობელია სტალინის მიმართ, მისი ინდუსტრიალიზაციის მკაცრი საშუალების გამოყენების, არა ჰუმანური შრომის პირობების და კოლექტივიზაციის იძულებით გატარების. ვერავითარ გარემოებით ვერ შემსუბუქდება, ვერ გამართლდება სტალინის უხეში საქციელი: ის რაც მოხდა ამის შემდეგ, ამბობს ვარგა, ე. ი. იძულებითი შრომა, მასიური დეპორტაცია, კონცლაგერები, არაფრით არ განსხვავდებიან პრინციპში ჰიტლერის და სტალინის კონცლაგერები, სადაც, თუ მას დაუჯერებთ, მოსახლეობის ერთი მეათედი იქნა გაგზავნილი, საიდანაც ბევრი ცოცხალი არ დაბრუნებულა.

ამჟამად, როცა ტერორი და რეპრესიები გაჰქრა, ადასტურებს ვარგა, საბჭოეთის სინამდვილეში წარმოიშვა „პრივილეგიური, წვრილ ბურჟუაზიული სამყარო“, რომელიც დაყრდნობილია მშრომელი ხალხის უსაზღვრო ექსპლოტაციაზე, რომელთა შორის ღრმა უფსკრულია გათხრილი. ერთის მხრით მშრომელი მასა — დაძონძილი, შრომის პირობებით ილაჯ გაწყვეტილი, გაყვლეფილი, მეორე მხრივ, დალხინებული, გალაღებული, მაღალი გაარისტოკრატებული ბიუროკრატია.

სწორედ ეს მშრომელთა მასა „მორჩილებას იმდენად შეეგუა, რომ ამაოა იმედი ვიქონიოთ მათის მხრივ თაოსნობის გამოჩენის, შესცვალონ არსებობის მძიმე პირობები“. ამიტომ, საბჭოთა კავშირში ცვლილებები არ შეიძლება ქვევიდან მოხდეს და ვარგა დაჯერებულია, ამავე აზრს გაროდიც იზიარებს, მისი განხორციელება მხოლოდ ზევიდან არის მოსალოდნელი. „კრემლის ხელმძღვანელთა რადიკალური შემობრუნებით, პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ სტრუქტურის ძირიან-ფესვიანად გარდაქმნით“.

ვარგას მოგონება და ანდერძი რვა წლის წინათაა დაწერილი. არ არის არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ავტორმა ახლაც ცოცხალი რომ იყოს, წინანდელი აზრები უარყოს და შესცვალოს. ცხადია, ვინც აზრი შეიცვალა, ეს მისი ანდერძის წინასიტყვაობის და შესავლის დამწერი რ. გაროდია. ის ბევრს საკითხებში პარტიას დაშორდა, ამისთვის კიდეც დაისაჯა. ახლა მას როგორღა სჯერა ზევიდან რეჟიმის დიდი ტრანსფორმაცია, განა გაროდი არ იცნობს საბჭოეთში არსებულ რეალობას, მის სინამდვილეს და მის ხელმძღვანელობას? ის ყველაზე უფრო მეტად უნდა იყოს დარწმუნებული, ვიდრე სხვა ვინმე, რომ კრემლის ლიდერები იმდენ ძალას და გამბედაობას ვერ გამოავლენენ და ამ „რადიკალურ შემობრუნებას“ ვერ მოახდენენ, რაც ვარგას უაცილებელ საჭიროებად მიაჩნდა. ან შეიძლება მას მოსკოვში ეგულება სხვა უფრო საიმედო და აქტიური ელემენტები, რომლების განზრახვაა, ეს გადატრიალება, ღრმა ცვლილებანი, რეჟიმის რადიკალური ტრანსფორმაცია სისრულეში მოიყვანონ? რა დახმარებას აღმოუჩენენ იგივე დასავლეთის კომუნისტური პარტიები, რომ ბიძგი მისცენ და სწორ გზაზე შეაყენონ საბჭოთა კავშირში ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგ აღმართული, ჯერ ხნობით სუსტი და სპორადული საზოგადოებრივი აზრის მოძრაობა, ორგანიზაციულად დაირაზმოს, რათა გაუადვილდეს საბჭოთა წყობილების ლიკვიდაცია და დემოკრატიული რეჟიმის აღდგენა?

ს. ჭირაქაძე

საუბარი ყვავილებთან

(ნოველა)

ქვემო-მაჩხაანელ ილო მენთეშაშვილს, სიღნაღის სარაიონო სამხედრო კომისარიატიდან უწყება მოუვიდა... სტალინის და სამშობლოსათვის საბრძოლველად იწვევდნენ ქვემო მაჩხაანელ ილო მენთეშაშვილს.

რადგან იწვევდნენ გამოცხადდა კიდეც და სამშობლოს დასაცავად მურმანსკს გაგზავნეს. სად ქვემო-მაჩხაანი და სად მურმანსკი. მურმანსკში რა ესაქმებოდა მაჩხაანელ მენთეშაშვილს?

ამბობენ: ბრძანება ბრძანებააო და გადაუხვევ მას თუ ბიჭი ხარ. გადაუხვევ და გადმოგახვევინებენ, შეუტევ? შემოგიტევენ!

ეს იცოდა მან. ილო მენთეშაშვილი უმალ ტყეს მიაშურებდა, ვიდრე „მშობლიურ“ მურმანსკში, მაგრამ ოჯახი? ცოლშვილი, დედმამა? ამათ ხომ ერთთავად ამოჟუჟავდნენ თორე ილო მენთეშაშვილს ჯერ კიდევ მუხლებში შემორჩენოდა მგლური ძალა. ნახევარ საუკუნეს მიტანებულს, ჯერ კიდევ შეეძლო ზეალმართულიყო და რისხვად მოვლინებოდა ჩვენს მბრძანებლებს და მოაგონდა...

მარიობის თვე... ტყეში გავარდნილმა, შეფიცულთა წინამძღოლმა სამშობლოს სახსნელად რომ მოუწოდა მაშინ ქიზიყელ-კახელებს.

საქართველომ დაიქუხა მაშინ და აბჯარასხმული რაზმი ყოველ კუთხიდან დაიძრა.

ახალგაზრდა ილო მენთეშაშვილი გვიანღამ გავიდა სოფლიდან. მიეშურებოდა იქ, სადაც მხედრიონი იკრიბებოდა... იკრიბებოდა იგი და უფრო იზრდებოდა... აქ მოისმინა მან მჭექარე ხმა შეფიცულთა ბელადისა: „ძვირფასო ძმებო, ქიზიყელებო! ბედნიერი ვარ კვლავ თქვენთან ვიმყოფები... ქიზიყი ვით მთელი საქართველო, ტანჯვას განიცდის... მრისხანე მტერი შინ ბობოქრობს.. იგი არღვევს ჩვენი ხალხის მყუდრო ცხოვრებას, საუკუნეებით განმტკიცებულ ზნეჩვეულებას... ისინი უკუ აგდებენ ჩვენს სარწმუნოებას. ბოდბეში გახსნეს ჩვენი განმანათლებლის, წმინდა ნინოს საფლავი და წარყვნეს იგი.

ქიზიყელებო! დავცხოთ მტერს, გაუმარჯოს ქართველთა თავისუფლებას. ჩვენს მხედრიონს ლაშარის ხატი მიუძღვის და წმინდა ნინოს სათნოება. ამ საბედისწერო ბრძოლაში ღმერთი ჩვენთანაა! ეს საწყისია დიადი კეთილი სულის ბოროტ სულზე გამარჯვებისა!“

— ამინ! — იყო პასუხი ლაშქრისა.

— გაგვიძეხ წინ ისე, როგორც გვიძღოდნენ შენი წინაპრები შინ შემოჭრილ მტრის წინაშე!

წამოიძახა ახალგაზრდა ილო მენთეშაშვილმა და მის მოძახილს ხმა მისცა მთელმა მხედრიონმა.

ბოდბედან ამოსულმა მოძღვარმა ათანასემ ერი დააწყალობა, ხოლო მხედრიონმა ნელი ხმით იწყო გალობა:

„დედაო ღვთისა! ეს ქვეყანა შენი ხვედრია,
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა,
სალმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვა-

თავგანწირულ ბრძოლაში ჩაება ილო მენთეშაშვილიც. ერთი ათს მომხდურს იგერიებდა... ბოლოს ლაშქარი დამარცხდა... ილო მენთეშაშვილი რაღაც სასწაულით დახვრეტას გადაურჩა და ცივი ქვეყნისაკენ გაისტუმრეს... ხუთმეტი წელი დაჰყო მან შორეულ ყინულეთში და ბოლოს გაანთავისუფლეს... ეხლა კიდევ იმავ ცივ ქვეყანაში მიდის, მაგრამ არა როგორც პატიმარი, არამედ მებრძოლი „სამშობლოსა და სტალინისათვის“

ხარკოვის მიმართულებით სოლით შემოჭრილიყვნენ გერმანელები და ამ სოლის მოშლას ცდილობდა ნახევრად მშიერი წითელი არმია. ილო მენთეშაშვილიც ამ ლაშქარშია... ისიც მშიერთა შორის... სადღაც დახოცილ ცხენებს გულღვიძლი ამოაცალეს და ნახევრად შემწვარი შესანსლეს... შეწვის დროს ვინ გაცლიდა... ან პოლიტმუშაკი დაგადგებოდა თავზე, ანდა გერმანელი „მესერშმიტები“ ძერასავით დაგეძგერებოდნენ. ილო მენთეშაშვილი მაძღარიც რომ ყოფილიყო, მაინც არაფერი სწამდა აქაურობისა და მარჯვე დროს უცდიდა გადასულიყო „მტრის“ მხარეზე. ეს დროც დადგა... 15 მაისს, გერმანელებმა უხშირეს ქვემეხების გრიალი... შემდეგ დაიძრა გერმანელთა სატანკო კოლონა და რაღაც რამოდენიმე საათში ბოლო მოუღეს მადაურობას. ილო მენთეშაშვილიც ტყვედ ჩავარდა... ეს უნდოდა მასაც.

ილო ტყვეთა ბანაკშია... დუხჭირია აქაური ცხოვრება, მაგრამ ილოს ბედმა გაუღიმა, მუშად წაიყვანეს სადღაც...

ბავარიელმა გლეხმა, რომელსაც არგუნეს ილო მენთეშაშვილი, ბოსელში განაწესა და პირუტყვს უვლიდა ჩვენი ქვემო-მაჩხაანელი ილო მენთეშაშვილი.

ამავე დროს ყვავილებს თავს ევლებოდა, ყვავილებიც კიდევ ბევრი ჰქონდა ბავარელ გლეხს...

ილო საქმეს რომ მორჩებოდა, ყვავილებთან იყო ჩაცუცქული... უვლიდა, თავს ევლებოდა გლეხის შვილი. ესაუბრებოდა მათ და სამშობლოს სევდას მათთან საუბარში აყოლებდა...

„შროშანავ, რა ყურები ჩამოგიყრია ბიჭო, რას შემომცქერი ნაღვლიანი თვალებით...

რაო, წყალი მწყურიაო? — აი ბიჭო წყალი, დალიე, მოიკალ წყურვილი! შე გვიმრავ, შენა... რად დაღონებულხარ... რაო წყალი მოგწყურდა? ა, შე წყალნარა ყვავილო... წყალზე გილამდება გული და ყური... დალიე, დალიე გენაცვალე... წყალისთვის გაწყენინებ ბიჭო? ღვინო არ მომთხოვო, თორემა წყალი გინდა სვი და ილხინე, იმღერე და მეც მალხინე.

რა აგიღერია კისერი გედივითა, შე ბავარულო ვაზო! ლამაზი კი ხარ... ფოთლები გეზრდება- ზაფხულ-ზამთრობითა. გვერდზე გაშლილხარ ბიჭო, წელში გამართულხარ. სად მიიწევ მაღლა. ცოტა აქეთ გამოიხედე, რად აგიბზეკია ცხვირი მაღლა... ვინძლო არ წაიმტვრიო მაღლა-მაღლა აწევითა!

რაო შენც წყალი მოგწყურდა? მერე და ამიტომ აბზიკე ცხვირი მაღლა? შვილო გეთქვა და წყალს მოგიტანდი. განა წყალი მენანება შენთვინა? აი გიდი ნანასა, შე ზამთარყურძენავ, ენგრე მიცნობ ბიჭო? აჰა, დალიე, შეგერგოს დედის ძუძუსავითა. დალიე, დალიე, ღვინო არ მომთხოვო... ჰო მართლა, შენ ბავარიელი ხარ, ლუდია შენი წამალი. ისევ წყალი დალიე, გლეხი ხარ ბიჭო, გლეხი... საწყალი ხარ! საწყალსა კაცსა ვინ მისცემს აღების ღამეს ღვინოსა, წყალი სვას და ჭადი ჭამოს, დაწვეს და დაიძინოსა, არ გაგიგონია? შენც იცი, იცი შე კუდაბზიკავ, მაგრამ არაფერს მეუბნები, აქაო და ილომ არა იცის რაო!

სუროვ! როგორ დაგიბლანდია გარემო ბამბასავითა? კარგი რამ მყევხარ იცოდე... მიყვარხარ ბიჭო... მაგრამ განა მარტო შენა? შე ღორმუცელავ, რომ არ იცი ბიჭო წესი?.. დალიე, დალიე გენაცვა, დალიე! წყალი რამდენიც გინდა იმდენია, მე შენ გეტყვი, სიცხისაგან არ დაიწრიტოს.

უიმე, უიმე ჩემს თავსა, ამას რას ვხედავ... გულჭრელავ, ეს რა მოგვსვლია? ფოთლები გაგცვენია, თავი კიდევ ძირს დაგიხრია ქიზიყელი კამეჩივითა. რაო, რაო? მსაყვედურებ კიდეცა... ვიცი, უიცი... შენაო, ხანდახან ღვინოს არ აკლებ ხელსაო და მე კი წყალი რა არი, იმასაც არ იმეტებ ჩემთვინაო?

მოგიკვდეს ჩემი თავი გულჭრელავ! განა შენთვის რამე მეშურება? ა, გენაცვა წყალი, დალიე, დალიე... იცოცხლე , იმხიარულე, გაიხარე, მეც გამახარე... აბა თქვენს მეტი ვინა მყავს ამ დუნიაზედა?

შენ რა მუხასავით გაგიშლია ტოტები, შე ოთახის ცაცხვო? აი ბარაქალა შენა, მუხა ხარ ბიჭო, ნამდვილი მუხა! ე რა მაგარი ფესვები გაგიდგამს ქოთანშია? რაო, გაზაფხულზე ქოთანი გამომიცვალეო? ვითომ რითვინაო? განა არ ეყო შენს ფესვებსა ნიადაგი? ვიცი, ვიცი: თუ ვიცოცხლე, გაზაფხულზე ფესვებს გაგაშლევინებ... გაშალე ფესვები, ღრმად ჩაუშვი მიწაშია, რომ ვერავითარმა გრიგალმა ვერ მოგთხაროს... აი დალიე წყალი შენცა, წყალი გიყვარს. წყალი ვის არ უყვარს ბიჭებო... აი გიდი ბიჭებო! ნეტავ ჩემი ქვეყნის ანკარა ცივი წყაროები გაჩვენათ... როგორ მორაკრაკებენ, როგორ მოშხუიან, მოიმღერიან... აი წყარო, აი წყარო... ე ვინ იცის ეხლა ჩვენს ანკარა ცივ წყაროს ვინ დაპკურებია... არა, იცის ღმერთმა, არავისთვის არაფერი მშურს, მაგრამ ჩვენი წყარო და ჩვენი მიწა-წყალი ჩვენ დაგვანებონ... ნაარმი არ გვინდა, ჩვენსას კიდევ ნურავინ შეგვეცილება.

რაო, ეს რა საყვედური მესმის კუთხიდანა? თავი ანებე ფილოსოფოსობას, ფილოსოფოსებს ბევრი თავსამტვრევი საკითხი დაუსვამთ, მაგრამ დასაბამიდან გადაუჭრელიაო... ეს ვილაა რომ მსაყვედურობს? აა, ეს შენა ხარ ფუტკარავ? შენც წყალი მოგწყურებია, როგორც გატყობ. დალიე ჭირიმე დალიე, მო-

ეროვნული

გიკვდეს ჩემი თავი... მოგიკვდეს ჩამი თავი ფუტკარავ. ათას ფილოსოფოსებს შენი თავი მირჩევნია.

წყალი? დალიე შემოგევლე... რო მოგწყურდეს ბიჭო, მანიშნე რა, ნუ მესაყვედურები, თორემა შენი საყვედური გამიხდება სადარდებლადა...

შენ რა კარგად გამოიყურები კუდრაჭავ? შეეჩვიე აქაურობას? სამი დღის სტუმარი ხარ ბიჭო... ხომ გაიცანი ტოლ-მეგობრები? ვეგუებიო? ჰო გენაცვა... უნდა შეეგუო, საიდანაც მოგიყვანე, იქ ფულის მოსაგებად ჰყავდით... ჩემთან ალალ ლუკმაზე იქნები...

მიშველეთ, მიშველეთ, ზეცავ დასჭექე და თან ჩამიტანე... ე რა მომსვლია მე შავდღიანსა?

ბიჭო ყაყაჩოვ? ეს რა ამბავია შენს თავზედა? არც ფერი გაქვს, არც ხორცი... სად არის შენი ყირმიზა ლოყები... რა თვალები ჩაგცვენია... ბიჭო ყაყაჩოვ, მომხედე შენზე გულ შემატკივარსა!

მოსვი წყალი, იქნებ გული გაგეხსნას... ინგრე... კიდევ ერთი ყლუპი გენაცვალე... რაო, გულს მომეშვაო? ენგრე შენი კვნესამე ენგრე! ნურაფრის შეგეშინდებათ... ხანდახან მე დარეტიანებულსა გულს გადამივა თორემა განა არ მახსოვხართ? სულ თქვენს ხსენებაში ვარ, თქვენით ვათენებ და თქვენით ვაღამებ ჩემო ყვავილებო... ჩემო მეგობრებო...

თქვა ილო მენთეთაშვილმა და თავი ჩაჰკიდა.

მიუნხენი 1948

მინდია ლაშაური

დამოუკიდებლობის დღე ნიუ იორკში

ქართული სათვისტომოს გამგეობამ, საქართველოს დამოუკიდევლობის დღე გადიხადა მაისის 23-ს, ნიუ იორკში, სასტუმრო რუზველტის ეროვნულ დროშებით მორთულ დარბაზში.

ნაშუადღევის 3:30 წუთზე, საზეიმო კრებას ხსნის საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი გივი ზალდასტანიშვილი. ეროვნული ჰიმნის მოსმენის შემდეგ, თავის შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა, მოსკოვის ახალი პრინცის, ბრეჟნოვის ჩვენ სამშობლოში მოგზაურობას, მისი დაპყრობის 50 წლისთავთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამას თავისი პოლიტიკური ახსნა აქვსო. როდესაც ბრეჟნოვი ქართველებს ულოცავს დაპყრობის წლისთავს, ეს რუსეთის ანგარიშებში შედის. რომელი დამპყრობელი არ მიულოცავს მის მიერ დაპყრობილ ერს ამ „საზეიმო" თარიღს? ხოლო როდესაც ბრეჟნოვი ქართველებს ელაპარაკება „ჩვენ და თქვენო", ამაში იმალება მთელი რუსული იმპერიალიზმის მზაკვრული ბუნება, თითქოს ორივე თანასწორი და ერთნაირ უფლებიანი წევრია „საბჭოეთის ძმური კავშირისა". საბედნიეროდ ქართველებს ამ „საკენკით" ვეღარ ატყუებენ და მათ თავისი გარკვეული ეროვნული მსოფლმხედველობა, თვით საბჭოთა მკაცრ რეჟიმის დროსაც არა ერთხელ გამოამჟღავნესო.

ირინე რეხვიაშვილის მეუღლემ, საზოგადოებას გააცნო დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, შეერთებული შტატების და ჩვენ ბედში მყოფ ერების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებისაგან მიღებული მოლოცვები.

შეერთებული შტატების პრეზიდენტ ნიქსონიდან მოყოლებული, ყველა სენატორები და ხალხთა წარმომადგენლები, ერთსულოვნად აღნიშნავენ საქართველოს უკეთეს მომავლის იმედს და უსურვებენ მას წარმატებას, ხოლო ნიუ იორკის ქალაქის თავი ლინდზი კი თავის მოლოცვაში ხაზს უსვავს, ქართული წარმოშობის ამერიკელების „გაბედულ და შეუდრეკელ ნებისყოფას თავის წარმოშობ ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რომელიც დიდათ მნიშვნელოვანია ყოველი ჩვენთაგანისთვისო".

ნიუ იორკის გუბერნატორი ნ. როკფელერი კი აღნიშნავს, რომ რათა „ქართველების ამ სიმტკიცეს უფრო მასიური ხასიათი მიეცეს ჩაფიქრებული მაქვს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სპეციალური მოწოდებით მივმართო შტატის მოსახლეობასო."

შემდეგ სიტყვა მიეცა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნ ვ. სანგულიას, რომელსაც მკითხველი წინამდებარე გაზეთიდან გაეცნობა.

სიტყვები წარმოსთქვეს დამსწრე სტუმრებმა და საზოგადოების ახლად შემატებულმა წევრმა ბ-ნ ნ. შარიამ, რომლის აზრითაც, „ის დრო გავიდა, როცა ახალთაობას ზღაპრებით კვებავდნენ, დღეს ჩემისთანები მილიონია საქართველოშიო".

დასასრულს სათვისტომოს გამგეობა მსუბუქი საუზმით გაუმასპინძლდა დამსწრე საზოგადოებას.

დამსწრე

გლოვის დღე საფრანგეთში

საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომომ — შეთანხმებით ქართ. ეროვნულ-პოლიტიკურ ცენტრთან, ქართ. ეროვნულ საბჭოსთან, საფრ. მყოფ ქ. ყოფილ მხედართა კავშირთან და საფრ. ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირთან — შემდეგნაირად აღნიშნა ეს სამგლოვიარო იუბილე:

☐ 19-საათზე და 30 წ.: ქართულ მართლმადიდებელ წმ. ნინოს ეკლესიაში, მამაო ილიამ შეასრულა პანაშვიდი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გარდაცვალებულთა სულის მოსახსენებლად.

☐ 21-საათზე: დარბაზ დებიუსი-ში (პარიზის 18-ე არრონდისმანში) გაიმართა საჯარო, საზოგადო, სამგლოვიარო-საპროტესტო კრება, ქართული სათვისტომოსი.

სათვისტომოს თავმჯდომარე ლევან ზურაბიშვილი ხსნის კრებას. გუნდი ასრულებს დიდებას. დარბაზი ხალხით გაჭედილია. ტრიბუნა მორთულია ქართული ფერებით. უკან ჰკიდია საქართველოს ეროვნული ღერბი და დგას ქართული დროშა. ტრიბუნის მაგიდასთან სხედან ორატორები. ბ-ნ ლ. ზურაბიშვილი მიმართავს საზოგადოებას მოკლე, შესავალი, ქართული სიტყვით. მის შემდეგ სიტყვას ამბობს ყოფ. განათლების მინისტრი ნოე ცინცაძე. პოლკ. ნიკოლოზ თოხაძე ჯერ მიუთითებს ემიგრაციას მის ისტორიულ დანიშნულებაზე, მერე იგონებს 1921 წლის ქართველ იუნკერთა სამხედრო მოქმედებას ტაბახმელაზე. (ამავე მოგონების ფრანგულ თარგმანს კითხულობს მერე ოთარ პატარიძე). შემდეგ სიტყვას ამბობენ: ბ.ბ. პავლე სარჯველაძე, მიხეილ ქავთარაძე, ნუგზარ შარია და ლექსს მიძღვნილს საქართველოსათვის თავდადებულთ, ამბობს ბ. გიორგი ყიფიანი. ყველა ეს სიტყვები დაჯილდოვებულ იქმნა მრავალგზის ტაშით; აღსანიშნავია მაინც, რომ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე ღრმა გრძნობის და პოეზიის მჭერმეტყველობამ ბ. შარიასი და ლექსმა ბ. ყიფიანის.

კრების მსვლელობაში, თავმჯდომარემ გააცნო ყრილობას უცხოეთიდან და პროვინციიდან მოსული თანაგრძნობის წერილები და აღნიშნა ის წერილები, რაც უკვე დაიბეჭდა საქართველოს დაპყრობის 50 წლისთავის გამოისობით უცხო პრესაში.

ქართულ წერილებიდან მან სანიმუშოდ წაიკითხა: სოშოს ქართულ სათვისტომოსი, ბ. ირაკლი ბაგრატიონის (მადრიდიდან). ბ. პავლე ვაშაძის და არჩ. გედევანიშვილის (რომელნიც ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდნენ კრებას).

კრების ბოლოს წაკითხულ იქმნა რეზოლუცია, ქართული ტექსტი და მისივე ფრანგული თარგმანი. რეზოლუცია მიღებული ერთხმად და ურეზერვოდ. (თავმჯდომარემ კიდეც შეკითხა საზოგადოებას, თუ ვისმე ჰსურდა თავის შეკავება, — რასაც დემოკრატიული წესრიგი მოითხოვდა — მაგრამ ასეთი არავინ აღმოჩნდა).

დასასრულ ფეხზე ამდგარმა საზოგადოებამ, ერთის გულით, და დიდის გრძნობით იმღერა დიდება.

ცნობისათვის: კრების მთელი მსვლელობა ფირზე ჩაიწერა 1) თვით სათვისტომოს საშუალებით და 2) მიუნხენის „რადიო-ლიბერტის" საგანგებოდ ჩამოსულ კორესპონდენტის მიერ.

1921 **1971**

მიღებული: რეზოლუცია

50 წლისთავზე ქართული პოლიტიკური ემიგრაცია კვლავ მტკიცედ სდგას თავის ისტორიული მისიის სიმაღლეზე, რასაც კარგად გრძნობს მტერი, რომელიც ამაოდ სცდილობს მის გაბზარვას.

ემიგრაცია ბოლომდის დარჩება ჭეშმარიტი გამომხატველი ქართველი ერის მისწრაფებათა, იბრძოლებს მისი დამოუკიდებლობისათვის, დაიცავს საქართველოს საერთაშორისო უფლებებს, მის სასიცოცხლო ინტერესებს.

ამ გლოვის იუბილე-დღეს შვენ ქედს ვიხრით მსხვერპლის წინაშე, რომელიც ქართველმა ერმა გაიღო, და მუხლს ვიდრეკთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში, აჯანყებებში და ციხე-ციმბირში დაღუპულთ საფლავების წინაშე.

სამგლოვიარო კრება თავის ღრმა აღშფოთებას და პროტესტს გამოსთქვამს ცივილიზებურ ქვეყნიერების წინაშე, რომ მოსკოვის ხელისუფლება და მისი ადგილობრივი მართველობა, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის თარიღს — ერის დღესასწაულად აცხადებს, ერის ჩაგვრას — თავისუფლებად, რაც უსაშინლესი შეურაცყოფაა ჩვენი ერის სულიერი კულტურის, და რაც განათლებულ ქვეყნების ისტორიაში უცნობია.

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად მუდმივი რეპრესიული ზომებისა და ყოველგვარ ხელოვნურ დაბრკოლებებისა, ჩვენი ერის კულტურული მაჯისცემა შეუჩერებელია, რაც აშკარავდება ყველა დარგში, შედეგია მისი სამიათასწლოვან კულტურის, ახალთაობათა ეროვნული შეგნების, და დაძაბული ენერგიული შრომის.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თავისუფალი კაცობრიობა, რომელიც არასდროს არ სცნობდა და არც სცნობს, რუსეთის უფლებას თავისუფალ ერს მოახვიოს ძალით თავისი სისტემა და მოაქციოს ის საბჭოთა იმპერიის რკალში, — როცა დრო და ჟამი დადგება, თავის მორალურ სიმპატიებს და აქტიურ დახმარებას არ მოაკლებს ტყვეობიდან განთავისუფლებულ ერებს.

დასასრულს სამგლოვიარო კრება მოუწოდებს ქართველებს, ღრმად სწამდეთ, რომ საქართველოს დღევანდელი ეროვნული ჩაგვრა წარმავალია, რომ კვლავ აღსდგება თავისუფალი საქართველო და მასთან ერთად კავკასიის მოძმე ერები, და ყველა დღეს რუსეთის ტყვეობაში მყოფნი სახელმწიფოები და ხალხები.

ჩვენ-კი გვმართებს საქართველოს მსახურება, — ვიყვეთ მისი ერთგულნი და იმედმოსილნი შევყურებდეთ მომავალს.

დიდება ქართველ მხნე ერსა!

გაუმარჯოს თავისუფლებას!

ბეთქილი

(სვანური თქმულება, გალექსილი 12 წლის ასაკში გ. გაბლიანის მიერ. დაიბეჭდა 1928 წელს თბილისში).

იქ სადაც მარად მეფობს თოვლი,
იქ სადაც მთების სამყარო არის
სვანებმა შეჰქმნეს ლეგენდა „ბეთქილ"
და ეს ლეგენდა ფერხულად ჰყავის.
ამბობენ, ყოჩაღ მულახელ ბეთქილს
ვერ ვინა სჯობდა ჯიხვის წყვეტაში,
მრავალი კოხტა მთების მეუფე
მას უმსხვერპლია ნადირობაში.
ერთხელ ბეთქილი ჯიხვთა საძებრად
ეხეტებოდა სალსა კლდეებში,
უცბად მოესმა ქალის ნაზი ხმა
უცხო რამ ძალა იგრძნო მუხლებში.
კლდის წვერზე იდგა ნაზი ქალწული,
ნადირობისა ქალ-ღმერთი დალი
ნახა და... ბეთქილს ვაჟკაცურ გულში
სიყვარულისა მოედვა ალი.
„დიდება დელო მთების ქალ-ღმერთო"
შესძახა მყისვე ქალსა ბეთქილმა
„კეთილი იყოს შენი აქ მოსვლა"
გასცა პასუხი ბაგით ბეთქილმა.
„მე შემიყვარდი ,შენ ჩემთან დარჩი,
აღარ წახვიდე აქედან არსად,
თორემ, ღალატში, თუ დაგიჭირე,
მე შენ ამ ღალატს დაგისვამ ფასად."
ბეთქალმა მისცა ფიცი სვანური,
სავსე ვაჟკაცურ პატიოსნებით,
მყისვე აივსო იმისი გული
დალთან ცხოვრების ტკბილი ოცნებით.
მაგრამ გავიდა სულ ცოტა ხანი,
ბეთქილს ეუფლა რაღაც დარდები,
არც ნადირობდა, აღარცა სჭამდა
არც უთხრა დალსა გულის ნადები.
აგონდებოდა ბეთქილს დედ-მამა,
ძმები, ოჯახი და მეგობრები,
შეყვარებული ტურფა თამარი,
როგორც რომ მტრები, ისე მოყვრები.
მოიმიზეზა ავადმყოფობა,
დასტოვა დალი, დასტოვა მთები
მხარზედ მოიგდო თავისი მშვილდი
სახსოვრად მოსჭრა დალს ცოტა თმები.
მიდის დრო, მირბის ვით ქარი მთებზედ,
დალი ლოდინად გადაქცეულა,
არსად სჩანს მისი სატრფო ბეთქილი
მაშ უღალატა და გაქცეულა.
შურის ძიებით აღივსო დალი,
სიკვდილი ბეთქილს , ეს არ შერჩება,
მან მიღალატა, მეც მას დავღუპავ
და... მოკლე ხანში ასეც იქნება.
ერთხელ, როდესაც „ალბა ლაღრაალს"*)
მუხლ-მუჟალი ჟაბეს**) უქმობდა
ფერხულში ჩაბმულ ბეთქირისაკენ
დალის ბრძანებით ჯიხვი მიჰფრინდა.
ოქროს რქიანმა დალის მსახურმა
ლაჯებში ბეთქილს გადაურბინა,
გაჰკვირდა ხალხი თამამი ჯიხვით,
ბეთქილი ჯიხვმა ვით შეარცხვინა?
„ჯიხვს დაედევნე მყისვე ბეთქილო"
—შესძახა ბეთქილს ამაყმა ხალხმა
და სმენად იქცნენ, რომ გაიგონონ
ვაჟკაც ბეთქილის მჭექარე მათ ხმა.
ჯიხვი შეუძლვა ბეთქილს კლდეებში
თვეთნულდის *) ასპიტ მყინვართა შორის
ბეთქილსა მაინც არ ეკარგება
იმედი ჯიხვის ოქროს რქის შოვნის.
ბოლოს ბეთქირი იმ კლდეს მიადგა,
სად ტანი ცალი ხელით დაჰკიდა
ეხლა ღა მიხვდა თუ ვინ ღუპავდა
და სასტიკ კლდეთა მსხვერპლად ვინ ხდიდა.
ხალხი არ მიდის, იცდის ჟაბეში
სურთ რომ გაიგონ ბეთქილის ბედი
უცბათ მოესმათ მწარე ძახილი
სად აღმართულა თვითნულდის ქედი.
ზოგს მიაქვს კიბე, ქერა, ნაბადი
გრძელი ბაწრები, მატყლეულობა
ფენენ კლდის ძირში, უნდათ ძმის შველა
ვერ შველის ბეთქილს კიბეულობა.
გათენებამდე ის ამ ყოფაში
ათევს მთელ ღამეს, ღამეს უბედურს,
ათასნაირი ფიქრი აწვება
მის გულს ვაჟკაცურს, ეხლა წამებულს.
ბოლოს ელევა ხელში ძალ-ღონე
და სიკვდილის წინ ანდერძსა სტოვებს,
ასეთი თხოვნით და გულწრფელობით
მიმართავს იგი თავის მეგობრებს:
მოხუც დედ-მამას გადაეცით ჩემი ანდერძი,
მიკურთხებინოს ერთმა რანგი *, მეორემ პური,
ცოლს ვეხვეწები, მომიტევოს, შვილებს მიჰხედოს
და არ დაიწყვიტოს ამ ანდერძზე იმანაც გული
ჩემ ლომ-გულ ძმებსა ვუანდერძებ, რომ იარალსა
მოუარონ, შეინახონ, როგორც თვის შვილი,
დებს გადაეცით, ნაწნავები კოხტად გაშალონ
ცრემლით შეამკონ მონადირე „ბაილ-ბეთქილი".
საყვარელმა ჩემმა დინამ**) ტურფა თამარმა
შეაბრუნოს ვით წესია მარცხნივ ლეჩაქი
დაალვაროს დამსხვრეულ ძვლებს მხურვალე ცრემლი,
რომ გულს არ შერჩეს მწუხარების რაიმე ლაქი,
ამხანაგებს და გულითად ჩემსა მეგობრებს
გთხოვთ ერთხელ კიდევ დამანახვოთ ჩვენი ფერხული,
შემომძახოთ ჩვენებული მწუხარე „ზარი",
სოფელმა კუბო გამიკეთოს არ დამწყდეს გული.
გემშვიდობებით თქვენ: დალებო, ლაღნო ჯიხვებო,
თქვენც მეგობრებო, მეზობლებო, სვანეთის მთანო
ტკბილო აღმზრდელო, შენ სამშობლო, ჩემო სვანეთო,
თქვენც მშობლებო, საყვარელნო დანო და ძმანო.
რა გაათავა ეს სიტყვები მკვეთრი ბეთქილმა,
ფერხულის ხმაში მოსწყდა იგი მშობლიურ კლდეებს,
ხალხმა აკრიფა დამსხვრეული მისი ცხედარი
და ჯალავერით მიუტანეს მწუხარე მშობლებს.
დღესაც ფერხულში ისმის ქება ვაჟკაც ბეთქილის,
მის ბედის წერას დაჰქვითინებს ჩონგურზედ ქალი,
ამ სიმღერაშრ მე შევიცნე სვანთა ჯავარი
და შურისგება გაწბილებულ ქალ-ღმერთი დალის.

გ. გაბლიანი

---

*) თაფლისაგან მომზადებული სასმელი.
**) ქალიშვილი.

† ფეოდოსია პიტავა

მაისის 4-ს, ნიუ ორკში, გარდაიცვალა ფეოდოსია პიტავა.

აპრილის 18-ს ჩამოვიდა განსვენებული საქართველოდან. ვერც ხანდაზმულობამ, ვერც ჯანნაკლულობამ, ვერ შეაკრთო მისი გული, გული ქართველი დედისა და დიდი ხნიდან უნახავი შვილის სანახავად გადმოლახა მთები და ზღვები... საწადელ მიღწეულს კი უღალატა ჯანმა და მშვიდათ მიიძინა... სამუდამო ძილით.

მის შვილთან და რძალთან ერთად მთელმა ქართველობამ დაალვარა მწუხარე ცრემლი ქართველ მანდილოსანს.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
535 E. 78 Street,
New York, N. Y. 10021

ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.
149 Avenue A
New York, N. Y. 10009
Tel.: 473 - 0240